ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №15

08.08.2022 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ბარბარა ჯიმელი სულაშვილი, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 4 აგვისტოს №12-03221627-03 (№12-032221793-03 05.08.2022წ.) წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 21 ივლისის №12-032220246-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 21 ივლისის №12-032220211-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 21 ივლისის №12-032220380-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 2 აგვისტოს №12-03222152-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 3 აგვისტოს №12-032221533-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

7. **მიმდინარე საკითხები** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 22 დეკემბრის №12-032135655-03 წერილი - **დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01213052144-67 განცხადება)** - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 4 აგვისტოს №12-03221627-03 (№12-032221793-03 (05.08.2022წ.) წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ცვლილება ხორციელდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა" (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში" (დანართი №1.11). კერძოდ, დიღმის ჭალების ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებით ,,A" არეალში.

იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ „A" არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში.

გრაფიკული დანართით წარმოდგენილ კონტურის უმეტეს ნაწილზე უკვე განხორციელდა განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცება. შესაბამისად, აღნიშნული რეგულირებით დასახული მიზნები შესრულებულია და წარმოდგენილი არეალი მოიხსნება დიღმის ჭალების ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებითი ,,A" არეალის რუკიდან.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით აღინიშნა, რომ 2022 წლის 5 აგვისტოს **№12-032221793-03 წერილით წარმოდგენილ იქნა დამატებითი ინფორმაცია** დიღმის ჭალების ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებითი ,,A" არეალის რუკიდან არეალის მოხსნის შესახებ.

განსახილველ საკითხთან აზრი გამოთქვა: ბ-ნმა ვახტანგ სურგულაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხს, კერძოდ, დიღმის ჭალების ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებითი ,,A" არეალის რუკიდან არეალის მოხსნას მხარს არ უჭერს.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ **2022 წლის 4 აგვისტოს №12-032221627-03 და 5 აგვისტოს №12-032221793-03 წერილებით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური

გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკისა“ (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკის” (დანართი №1.11)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 2

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის ორმა წევრმა: ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა. წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ **2022 წლის 4 აგვისტოს №12-032221627-03 და 5 აგვისტოს №12-032221793-03 წერილებით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკისა“ (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკის” (დანართი №1.11)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 21 ივლისის №12-032220246-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალბატონო ელენე,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 68-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დასკვნას „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (**წერილი №12-032220246-03 (21.07.2022წ.)**).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ, 2022 წლის 8 აგვისტოს გამართულ კომისიის სხდომაზე (ოქმი №15), განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 21 ივლისის **№12-032220246-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დედაქალაქში საბაგირო ტრანსპორტის განვითარებას. ამ მიმართულებით, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ჩატარდა შესაბამისი კვლევით-ანალიტიკური სამუშაოები, რის შედეგადაც შეფასდა თბილისში საბაგირო ტრანსპორტის განვითარების მიზანშეწონილობა და პოტენციალი. ჩატარებული კვლევების საფუძველზე სამგორი/ისანი-ვაზისუბნის და სარაჯიშვილი-ზღვისუბნის კორიდორები განისაზღვრა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული საბაგირო დერეფნები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, საქართველოს მთავრობის შუამდგომლობითა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ფრანგულმა საკონსულტაციო კომპანია „სისტრამ" განახორციელა და უკვე დაასრულა კვლევითი სამუშაოები, რის შესაბამისადაც განისაზღვრა სარაჯიშვილი-ზღვისუბნის საბაგირო დერეფნისა და სამგორი/ისანი-ვაზისუბნის დაცვის ბუფერის სავარაუდო განთავსების განახლებული არეალები.

ზემოაღნიშნულის ასახვის მიზნით კი, ცვლილება ხორციელდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე. (დანართი №1).

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა. შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 21 ივლისის **№12-032220246-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (გრაფიკულ ნაწილის - რუკის (დანართი №1)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 21 ივლისის **№12-032220246-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (გრაფიკულ ნაწილის - რუკის (დანართი №1)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 21 ივლისის №12-032220211-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 20 ივლისის №22.1117.1223 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 9 წინადადება - №01221891190-67; №01221791244-67; №01221105-67; №01221791133-67; №01221872183-67; №01221791646-67; №012218633034-67; №01221862934-67; №01221861844-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01221891190-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ეგრისის ქუჩა №31თ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.008.431) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 19 ივლისის №01222003317 წერილის მიხედვით, განსახილველ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ტერიტორიაზე, რომელსაც ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ამასთან, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ერთიანი კონფიგურაციის ჩამოყალიბებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, მიზანშეწონილია გაუქმდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის დასავლეთით არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მონაკვეთი. ასევე, დაკორექტირდეს განსახილველ ტერიტორიაზე და მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.008.328, №01.72.14.008.329 და მიმდებარე ტერიტორია) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გავრცელდეს საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ ფაქტობრივ გზაზე.

შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით ხორციელდება №01.72.14.008.328, №01.72.14.008.329 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 1-ელი ივლისის №01221922101 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ეგრისის ქუჩა №31თ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.008.431; №01.72.14.008.328, №01.72.14.008.329) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა, ვ. სურგულაძე).

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01221791244-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.13.397) მიმდებარედ მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

№72.13.13.397 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში ტერიტორიის ლეგალიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 6 ივლისის №01221871288 წერილის შესაბამისად, თანახმაა საპროექტო

ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01221105-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი №1; ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.011.085; №01.17.10.011.020) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურების ობიექტი (ავტოსერვისის) განთავსება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს ან ავტოგასამართ კომპლექსებს, აირგასამართ ან აირსავსებ საკომპრესორო სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს და სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საწყლოსნო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები).

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 2-ში (ტზ-2) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფი სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 6 ივლისის №0122187304 წერილის შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სს „საქართველოს რკინიგზის" დადებითი პოზიცია (№2736; 30.06.2022წ.)

განსახილველ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01221791133-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.055.053) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს №01.72.14.055.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 6 ივლისის №18-01221871247 წერილის შესაბამისად, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01221872183-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.005.022) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს №01.13.02.005.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 8 ივლისის №01221892309 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01221791646-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნ. ჩხეიძის ქუჩა №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.050.016) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 5-ისა (სზ-5) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 6 ივნისის №66-01221572421 წერილით მიმართა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ და მოითხოვა ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნ. ჩხეიძის ქუჩის №13-ში არსებულ №01.16.06.050.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის ცვლილება, თბილისის №96-ე საბავშვო ბაგა-ბაღის ავარიული შენობის დემონტაჟისა და ამავე მიწის ნაკვეთზე ახალი, თანამედროვე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის მიზნობრიობით.

აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი №21 14.07.2022წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ფუნქციური ზონის ცვლილებას მიეცა დადებითი შეფასება.

ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.050.008, №01.16.06.050.004 და მიმდებარე ტერიტორია) საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ითა (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნ. ჩხეიძის ქუჩა №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.050.016; №01.16.06.050.008, №01.16.06.050.004) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 5-ისა (სზ-5) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ითა (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№012218633034-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, უშაკოვის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.027) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.027), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), მცირედ ნაწილზე საცხოვრებელი ზონა (სზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 15 ივლისის №01221963028 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, უშაკოვის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.027) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01221862934-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა №21ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.005) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.005) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 15 ივლისის №01221963039 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ჩრდილო-აღმოსავლეთით №01.17.09.006.022 და №01.17.09.006.020 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით №01.17.09.006.022 და №01.17.09.006.020 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა №21ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.005) და მიმდებარედ არსებული №01.17.09.006.022 და №01.17.09.006.020 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№01221861844-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა №21ბ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.025) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.025) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), მცირედ ნაწილზე საცხოვრებელი ზონა (სზ) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 15 ივლისის №01221963018 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში,

თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა №21ბ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.09.006.025) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 21 ივლისის **№12-032220211-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 9 წინადადება - №01221891190-67; №01221791244-67; №01221105-67; №01221791133-67; №01221872183-67; №01221791646-67; №012218633034-67; №01221862934-67; №01221861844-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 21 ივლისის №12-032220380-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 21 ივლისის №22.1150.1242 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01221593963-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01221992437); №0122095666-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01221991238)).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01221593963-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01221992437) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.017) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

,,ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.017) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის №329 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.008.017) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0122095666-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01221991238) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.02.523; №81.01.02.522; №81.01.02.681; №81.01.02.682) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, სოფელ კიკეთში არსებულ მიწის ნაკვეთებსა(საკადასტრო კოდები: №81.01.02.681; №81.01.02.682; №81.01.02.522; №81.01.02.523; №81.01.02.558; №81.01.02.275; №81.01.03.444-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N331 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.02.523; №81.01.02.522; №81.01.02.681; №81.01.02.682) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 22 ივლისის **№12-032220380-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01221593963-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01221992437); №0122095666-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01221991238)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 2 აგვისტოს №12-03222152-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 აგვისტოს №22.1192.1295 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 10 წინადადება: №0122168457-67 (№01221908-67; №0122195819-67); №01222033168-67 (№01222071882-67); №01222032931-67; №01222032849-67; №01222033035-67; №01221473717-67; №012209933-67; №01221892837-67; №01221823712-67; №01222132439-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №0122168457-67 (№01221908-67; №0122195819-67) **განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ავჭალა 2-ის დასახლება, ვიტალი დარასელიას ქუჩა N10ე-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.36.408) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენ. გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №72.13.36.408 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სატყეო ზონა, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრულია სატყეო ზონა.

№72.13.36.408 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ფუნქციური ზონის ფრაგმენტულად ცვლილების თავიდან არიდების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მიმდებარე არეალზეც, კერძოდ, №72.13.17.272; №72.13.17.299; №72.13.17.300 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

ასევე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში არსებული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №72.13.36.408 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისში, ავჭალა 2-ის დასახლება, ვიტალი დარასელიას ქუჩა, №10ე-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.36.408) და მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: №72.13.17.272; №72.13.17.299; №72.13.17.300 და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორია) სატყეო ზონისა და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხთან დაკავშირებით დადებით პოზიციას აფიქსირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 20 ივლისის N18-0122201525 წერილით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, ავჭალა 2-ის დასახლება, ვიტალი დარასელიას ქუჩა N10ე-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.36.408) და მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №72.13.17.272; №72.13.17.299; №72.13.17.300 და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორია) სატყეო ზონისა და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-

ით (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01222033168-67 (№01222071882-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ს. ჩიქოვანის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.006.017) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება წარმოადგენს, სადაც 90 %-ს შეადგენს საცხოვრებელი ბინები, ხოლო 10 %-ს კომერციული/საოფისე ფართები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 26 ივლისის №01222072995 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.006.017) სამხრეთით, №01.14.14.006.071 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (2 კვ.მ.) ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.14.14.006.017 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით, №01.14.14.006.071 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

ასევე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში არსებული ტექნიკური ხარვეზის და მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.14.14.006.017 საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. აღნიშნული არეალი ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს გზას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 28 ივლისის №16-01222093108 წერილის მიხედვით, აღნიშნული ცვლილებით ხდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ფაქტობრივი გზის მონაკვეთზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ს. ჩიქოვანის ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.006.017) საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა და მიმდებარედ №01.14.14.006.071 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება და №01.14.14.006.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01222032931-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.006.207) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული №01.19.39.006.207 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 27 ივლისის №0122208703 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.006.207) სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01222032849-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.006.208) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული №01.19.39.006.208 მიწის ნაკვეთის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 27 ივლისის №0122208737 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.006.208) სამხრეთით, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.19.39.006.208 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით,

დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.006.208) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01222033035-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.006.206) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული №01.19.39.006.206 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 27 ივლისის №0122208705 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 2 აგვისტოს №0122214413 წერილის შესაბამისად, განსახილველი მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის გათვალისწინებით, მისი განვითარება მიზანშეწონილია სატრანსპორტო ფუნქციით. ამასთან, განცხადებაში წარმოდგენილ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების შემთხვევაში, მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.005.064,

№01.19.39.005.063, №01.19.39.005.068) ჩნდება წვდომა საზოგადოებრივ სივრცესთან. შესაბამისად, განსახილველ მიწის ნაკვეთზე მიზანშეწონილია გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ამასთან, სატრანსპორტო ქვეზონის ერთიანი ქსელის ჩამოყალიბების მიზნით, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდეს საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით, №01.19.39.008.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე და დაუკავშირდეს II მიკრორაიონის ქუჩაზე არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1).

აგრეთვე, ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, უნდა დაკორექტირდეს საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონფიგურაცია და გავრცელდეს ფაქტობრივ გზაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორი რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.39.006.206), ასევე, №01.19.39.006.205 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01221473717-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, რეხის I ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.08.007.004, №01.16.08.006.119) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს რეხის I ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი №01.16.08.007.004; №01.16.08.006.119) პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 22 ივლისის №18-01222032249 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№012209933-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.094.285) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 29 ივლისის №01222102272 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 28 მარტის №12/1/351 წერილი. აღნიშნული წერილის შესაბამისად მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.094.285) გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ მოხდა აღნიშნული ტერიტორიების შეფასება, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნა.

ზემოაღნიშნული დასკვნის მიხედვით მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.72.14.094.285) მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მდ. წორწორას მარცხენა შენაკადის მაღალ ტერასაზე, 524-523 მეტრ სიმაღლეზე. მდინარის მარცხენა ნაპირიდან დაშორებულია 11-12 მეტრით. სიმაღლითი სხვაობა მიწის ნაკვეთსა და წყლის დონეს შორის შეადგენს 8-8.5 მეტრს. ტერასის ფერდობს გააჩნია დასავლეთის ექსპოზიცია და იგი დახრილია 70-75 გრადუსით. შესაბამისად, მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.72.14.094.285) არ მდებარეობს წყალდაცვითი ზონის შეზღუდვის არეალში და ჰიდროლოგიური თვალსაზღვისით საშიშროება არ ემუქრება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.094.285) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(შენიშვნა: კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01221892837-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.367, №81.08.28.311) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 27 ივლისის №0122208622 წერილის შესაბამისად, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

საპროექტო ტერიტორიაზე ასევე ხე-ნარგავებით აქტიურად გამწვანებულ არეალზე გავრცელებულია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა. რომელიც რჩება უცვლელი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(შენიშვნა: კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№01221823712-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, აბაიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.02.014.821; №01.12.02.014.002) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 1-ელი აგვისტოს №01222102499 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 4 ივლისის №01221852316 წერილის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.12.02.014.002) გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მიმდებარე ქუჩებს შორის ერთადერთ საგზაო კავშირს.

თუმცა, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ერთიანი კონფიგურაციისა და №01.12.02.014.002 და №01.12.02.014.013 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისთვის მისასვლელი გზის შენარჩუნების მიზნით, მიზანშეწონილია საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი. აგრეთვე, ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში არსებული მონაკვეთი წარმოადგენს ფაქტობრივ გზას, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) აღნიშნულ მონაკვეთზეც დარჩეს უცვლელი.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, №01.12.02.014.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, აღნიშნულ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იცვლება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2),

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აბაიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.02.014.821; №01.12.02.014.011) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№01222132439-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ზაზა ფანასკერტელის ქუჩა №2-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისში, ფანასკერტელის ქუჩა №22-ის მოპირდაპირედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.10.17.008.048) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 1-ელი აგვისტოს №01222133389 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენის (რზ-1) მოხსნა და გავრცელდეს შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 2 აგვისტოს **№12-03222152-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება: №0122168457-67(№01221908-67; №0122195819-67); №01222033168-67(№01222071882-67); №01222032931-67; №01222032849-67; №01222033035-67; №01221473717-67; №012209933-67; №01221892837-67; №01221823712-67; №01222132439-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 3 აგვისტოს №12-032221533-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.

თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 აგვისტოს №22.1194.1296 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენ.გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01213123561-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-0122208880)).

ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01213123561-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-0122208880) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.31.127; №81.02.31.128; №81.02.02.357) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

,,ქალაქ თბილისში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში შპს ,,ტერა I ველი''-ის კუთვნილ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 4 ივნისის №01/1094 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №95 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, განაშენიანების რეგულირების გეგმის მიღმა არსებულ ტერიტორიაზე ხორციელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:N81.02.31.127; N81.02.31.128; N81.02.02.357) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარე ტერიტორიის მცირე ნაწილზე ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება მისაღებია. ასევე, ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა: ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 3 აგვისტოს **№12-032221533-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01213123561-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-0122208880)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეშვიდე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 22 დეკემბრის №12-032135655-03 წერილი - **დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01213052144-67 განცხადება**)

სხდომის დღის წესრიგის მეშვიდე (მიმდინარე) საკითხი წარმოადგინა, ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კომისიის 2021 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე (ოქმი №4) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული იქნა ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩა (ყოფილი კიბალჩიჩის), ხევი 7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.115) მოთხოვნილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნისა და ძირითადი რუკით არსებული საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) გავრცელების საკითხის განხილვა (**განცხადება №01213052144-67**).

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01213052144-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩა (ყოფილი კიბალჩიჩის), ხევი 7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე

(საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.115) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა და ძირითადი რუკით არსებული საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ფრაგმენტული ცვლილების თავიდან არიდების მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი განიხილება მიმდებარე არეალზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 17 დეკემბრის №18-01213512296 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული (სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები) ფენის მოხსნა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 3

(**შენიშვნა:** კენჭისყრისას პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავა კომისიის სამმა წევრმა: ვ. სურგულაძემ, ს. კობალაძემ, ბ. ჯიმელი სულაშვილმა).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 22 დეკემბრის **№12-032135655-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული **№01213052144-67 განცხადების** (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე